



საქართველოს სახალხო დამცველი

ბ რ ძ უ ნ ე ბ უ

N 43
12/04/2021

43-19-4-202104121738



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ
საქმეებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა საჩივრის
განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის
პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა საჩივრის განხილვის წესი“ თანდართული სახით (დანართი №1).
2. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის წინამდებარე ბრძანების დაგზავნა დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა საჩივრის განხილვის წესი

მუხლი 1. ზოგადი ნორმები

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა მიმართ/წინააღმდეგ დაინტერესებულ პირთა საჩივრის განხილვის წესი (შემდგომში - „საჩივრის განხილვის წესი“) შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულების და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.
2. საჩივრის განხილვის წესი არეგულირებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით მიღებული შემაჯამებელი დოკუმენტის ან საქმის შესწავლის პროცესის თაობაზე დაინტერესებული პირების მიერ უკმაყოფილების გამოხატვის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირთა საჩივრის/უკმაყოფილების განხილვის წესს და პროცედურას.
3. საჩივრის განხილვის წესი არ ვრცელდება საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეების მიმართ წარდგენილ საჩივარზე, რომელსაც იხილავს საქართველოს სახალხო დამცველი და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ა) სავარაუდო უფლებადარღვევის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად მიღებული **შემაჯამებელი დოკუმენტი**: წინადადება, რეკომენდაცია, დასკვნა, ზოგადი წინადადება, სასამართლო მეგობრის მოსაზრება, კონსტიტუციური სარჩელი, მორიგების აქტი, დასაბუთებული პასუხი უფლებადარღვევის არარსებობის/საქმის განხილვის შედეგების თაობაზე, გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, დისკრიმინაციის საქმეზე - გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, განცხადების დაუშვებლად ცნობა.

ბ) **განცხადების დაუშვებლად ცნობა** - დაუშვებლად განცხადება შეიძლება ცნობილი იქნეს სხვადასხვა საფუძველით: არ არის სახალხო დამცველის კომპეტენცია, განმცხადებელმა არ შეავსო დადგენილი ხარვეზი; იგივე საკითხზე არსებობს უკვე სახალხო დამცველის გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა თუ არ წარმოიქმნა ახალი გარემოებანი („საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი) და სხვა.

გ) **საჩივარი** - ამ წესის მიზნებისთვის საჩივარი არის სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის მიერ სავარაუდო უფლებადარღვევის შესახებ საქმის შესწავლის

შედეგად მიღებულ შემაჯამებელი დოკუმენტის ან საქმის შესწავლის პროცესის თაობაზე დაინტერესებული პირის მიერ წერილობით დაფიქსირებული უკმაყოფილება, რომლის მიხედვითაც იგი არ ეთანხმება/აპროტესტებს შემაჯამებელ დოკუმენტს ან საქმის შესწავლის პროცესს.

დ) დაინტერესებული პირი - პირი, რომელსაც უშუალოდ ეხება სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.

მუხლი 3. საჩივრის შინაარსი

1. საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:

ა) შემაჯამებელი დოკუმენტის გასაჩივრების შემთხვევაში: შემაჯამებელი დოკუმენტის დასახელებას და რეკვიზიტებს (თარიღი, ნომერი), რომელსაც არ ეთანხმება დაინტერესებული პირი (საჩივრის ავტორი);

ბ) საქმის შესწავლის პროცესის გასაჩივრების შემთხვევაში: საქმის დასახელებას (საქმის სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრაციის ნომერი თუ ცნობილია საჩივრის ავტორისთვის, განმცხადებლის სახელი და გვარი, რომლიც განცხადების საფუძველზეც მიმდინარეობს აპარატში საქმისწარმოება ან სხვა მაიდენტიფიცირებელი რეკვიზიტი);

გ) დაინტერესებული პირის (საჩივრის ავტორის) ვინაობას; მისამართს; პირად ნომერს და/ანდა საკონტაქტო ინფორმაციას;

დ) ფაქტობრივი გარემოებების ჩამონათვალი/აღწერა, რომელსაც მისი აზრით მნიშვნელობა ჰქონდა შემაჯამებელი დოკუმენტის გამოცემისას და არ იქნა შესწავლილი ან/და იმ გარემოებების აღწერას, რომლის საფუძველზეც ასაჩივრებს საქმის შესწავლის პროცესს.

ე) შემაჯამებელი დოკუმენტის გასაჩივრების შემთხვევაში - მითითებას ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის შესწავლისათვის.

ვ) მოთხოვნას;

ზ) საჩივრის წარდგენის თარიღს და ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე/ საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. საჩივარს უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომელიც ინახება საჩივრის ავტორთან და რომლითაც დასტურდება საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. თუ ასეთი საბუთი საჩივრის ავტორმა ვერ მოიპოვა, საჩივარს უნდა დაერთოს მტკიცებულება და/ან მიუთითოს გარემოება, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ მან ასეთი მტკიცებულება ვერ მოიპოვა.

3. პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ინფორმაციის მიუთითებლობა არ შეიძლება გახდეს საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი. თუ ამ ინფორმაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს საჩივრის შესწავლისა და განხილვისათვის, შესაძლებელია საჩივრის ავტორს მოეთხოვოს ასეთი ინფორმაციის დაზუსტება.

4. თუ საჩივარი შეიცავს მითითებას ისეთ ახალ გარემოებებზე, რომელიც საქმის ხელახლა შესწავლის საფუძველია, საჩივარი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით გადაეწერება განცხადების დასაშვებობის შემოწმებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს და მასზე წარმოება გაგრძელდება დადგენილი წესის შესაბამისად.

5. საჩივარი, რომელიც მიუთითებს იგივე გარემოებებზე, რომელიც მითითებული იქნა თავდაპირველ განცხადებაში ან/და არის ზოგადი ხასიათის, ან შეიცავს არაეთიკურ, შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, სიძულვილის ენას, არ ექვემდებარება არსებითად განხილვას და შესწავლას. აღნიშნულის თაობაზე, საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საჩივრის ავტორს ეცნობება, რომ ასეთი საჩივარი არ ექვემდებარება არსებით შესწავლას და მსგავსი შინაარსის საჩივრით/განცხადებით მომავალში მომართვის შემთხვევაში, მისი საჩივარი/განცხადება დარჩება რეაგირების გარეშე. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, განმეორებითი, იგივე შინაარსის საჩივრით/განცხადებით მომართვის შემთხვევაში, ასეთი საჩივრის/განცხადების შემსწავლელი პირი საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში გააკეთებს შესაბამის აღნიშნავს და მონიშნავს ასეთ საჩივარს/განცხადებას როგორც შესრულებული.

მუხლი 4. საჩივრის წარდგენის ვადა

1. დაინტერესებულ პირს შეუძლია შემაჯამებელი დოკუმენტის თაობაზე საჩივარი წარადგინოს ასეთი დოკუმენტის გაცნობიდან 3 თვის ვადაში, ხოლო საქმის შესწავლის პროცესის თაობაზე - საქმის შესწავლის პროცესში ან შესწავლის პროცესის დასრულებიდან 3 თვის ვადაში.

2. შემაჯამებელი დოკუმენტის გაცნობიდან 3 თვის შემდეგ საჩივრით მომართვის შემთხვევაში, დასაშვებობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული შეისწავლის საჩივარში მითითებულ გარემოებებს და თუ საჩივარი არ შეიცავს მითითებას ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე აღნიშნული სტრუქტურული ერთეული საჩივრის ავტორს აცნობებს პასუხს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პასუხის გასაჩივრების შემთხვევაში, აღნიშნული საჩივარი განიხილება ამ წესით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

მუხლი 5. საჩივრის განხილვის პროცედურა და ვადები

1. საჩივარი სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრაციის შემდეგ გადაეცემა სახალხო დამცველის კურატორ მოადგილეს, რომელიც აღნიშნულ საჩივარს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტს.

2. პატიმრების მიერ წარმოდგენილი საჩივრების შემთხვევაში სახალხო დამცველის კურატორი მოადგილე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში იღებს გადაწყვეტილებას და საჩივარს

გადააწერს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტს შესაბამისი რეაგირების განსახორციელებლად ან სამართლებრივი უზრუნველყოფის და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს წინამდებარე წესით განსახილველად.

3. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტისათვის საჩივრის გადაწერის შემთხვევაში, საქმის შესწავლა გაგრძელდება საერთო წესის საფუძველზე.

4. სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი მოიძიებს ინფორმაციას საჩივარში მითითებული საკითხის თაობაზე და წარუდგენს კურატორ მოადგილეს არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

5. მოძიებული ინფორმაციის შედეგად საჩივარში მითითებული საკითხს შეისწავლის და საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სახალხო დამცველის კურატორი მოადგილე, მისთვის ინფორმაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. საჭიროების შემთხვევაში საჩივრის შესწავლის პროცესში შეიძლება ჩართული იქნეს ის სტრუქტურული ერთეული, რომელმაც შეისწავლა გასაჩივრებული საქმე.

6. საჭიროების შემთხვევაში, სახალხო დამცველის კურატორი მოადგილის გადაწყვეტილებით შეიძლება საჩივრის განხილვის პროცესში გაიმართოს ზეპირი მოსმენა და მოწვეული იქნეს საჩივრის ავტორი. ასეთ შემთხვევაში უნდა შედგეს ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი. ზეპირი მოსმენის გამართვის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების ვადა გრძელდება 15 სამუშაო დღით.

მუხლი 6. საჩივრის შესწავლის შედეგები

1. საჩივრის შესწავლის შედეგად შეიძლება მიღებული იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) შემაჯამებელი დოკუმენტის თაობაზე საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში - საქმის წარმოების განახლების შესახებ;

ბ) საქმის შესწავლის პროცესის შესახებ საჩივრის საფუძვლიანობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს სახალხო დამცველის კურატორი მოადგილე ან მისი წარდგინების საფუძველზე - სახალხო დამცველი.

გ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების ან/და რეაგირების თაობაზე ეცნობება საჩივრის ავტორს, გარდა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციისა.

3. საქმის წარმოების განახლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატის დასაშვებობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით საქმეს შესასწავლად გადააწერს შესაბამის უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს და მისი შესწავლა გაგრძელდება საერთო წესის საფუძველზე. დასაშვებობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

ვალდებულია აღრიცხოს ცალკე საჩივრის საფუძველზე საქმეთა წარმოების განახლების რაოდენობა.

4. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ პასუხს როგორც წესი, ამზადებს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. საჭიროების შემთხვევაში ასეთი პასუხის მომზადება სახალხო დამცველის კურატორმა მოადგილემ შეიძლება დაავალოს სხვა სტრუქტურულ ერთეულს საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ხელს აწერს სახალხო დამცველის კურატორი მოადგილე.

6. ერთი და იგივე საჩივარზე საჩივრის ავტორს სახალხო დამცველის აპარატმა შეიძლება წერილობითი პასუხი გასცეს მაქსიმუმ ორჯერ. იმავე საკითხზე მომართვის შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატი წყვეტს ასეთი საჩივრის ავტორთან კომუნიკაციას, რის შესახებაც მას ეცნობება მისთვის გაგზავნილ ბოლო პასუხში.